საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 966-03
17.07.2024

„2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N923-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 17 ივლისის N12551-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N923-02 ბრძანების მე-8 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად:

„8. სხვა ფაკულტეტი/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ,,გამოყენებითი ხელოვნება – მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“; ,,გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“; ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა),“ გადასვლის მსურველი პირების რეიტინგი დგება შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის შედეგების საფუძველზე;“

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო

ტექნოლოგიების სამსახურს,საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი